



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი

ბრძანება № 2/212

14 აგვისტო 2015 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების
თაობაზე


საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.





ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი



ნიკოლოზ ანთიძე



N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ციხედიდის კომპლექსის ეკლესია	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვი	არქიტექტურის არქეოლოგიური	XVII ს.
2.		„ღვთისმშობლის“ სახელობის ეკლესია	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩალაუბანი	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები
3.		„სამკარიანის“ (წმინდა გიორგის) ეკლესია	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაზისუბანი	არქიტექტურის	VI საუკუნე
4.		„ნათლისმცემლის“ სახელობის ეკლესია	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაზისუბანი	არქიტექტურის	XIX საუკუნე მე- II ნახევარი

	<p>წიწამურში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილას აგებული მემორიალური კომპლექსი (ობელისკი, ბაქანი, კიბე, საყრდენი კედლები, წყარო)</p>	<p>მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წიწამური</p>	<p>არქიტექტურის / მემორიალური</p>	<p>1937წ. 12 სექტემბერი</p>
<p>6.</p>	<p>დედა-ღვთისას ეკლესია</p>	<p>ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბარეული</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>განვითარებული შუა საუკუნეები</p>